

საიას თბილისის ოფისის იურიდიული დახმარების ცენტრში თანაშემწეთა/სტაჟიორთა კონკურსის მონაწილეთა საყურადღებოდ

საიას იურიდიული დახმარების ცენტრში თანაშემწეთა/სტაჟიორთა შესარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატთა რაოდენობის გათვალისწინებით, კონკურსის პირველი ეტაპი - წერითი გამოცდა ჩატარდება რამდენიმე ნაკადად.

წერითი გამოცდა გაიმართება **14 და 15 ნოემბერს** (მიმართულებების მიხედვით გამოცდის დროები იხილეთ **მიმაგრებულ ფაილში**), საიას ცენტრალურ ოფისში. მის: ქ. თბილისი, ჯ. კახიძის ქ. N15.

იმ კანდიდატებმა, რომელთაც ინტერესის სფეროდ მითითებული აქვთ სისხლის სამართალი, წერით ეტაპზე უნდა ჰქონდეთ სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ხოლო სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის

შემთხვევაში - სამოქალაქო კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (ნორმატიული მასალის ელექტრონულად გამოყენება არ არის დასაშვები).

წერითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები იხილეთ **მიმაგრებულ ფაილში.**

იმ შემთხვევაში თუ დოკუმენტები სრულყოფილად გაქვთ გამოგზავნილი და ამის მიუხედავად, წერით ეტაპზე გადასულ მონაწილეთა სიაში არ ხართ ან სიაში ადგილი აქვს რაიმე ხარვეზს, შეგიძლიათ გამოცდის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 დღისა მოგვწეროთ ელ. ფოსტაზე: mgabroshvili@gyla.ge